სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 30 იანვარი 2023 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის
ოქმი N 1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ირაკლი რობაქიძე – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი;

ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

ზურაბი ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ივანე კვიტაიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის 2023 წლის განმავლობაში ჰიგიენური საშუალებების (CPV33711900 -საპონი, CPV 33761000 - ტუალეტის ქაღალდი, CPV33763000 -ქაღალდის პირსახოცი, CPV33764000 - ქაღალდის ხელსახოცი) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა კომპანიები, ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. ფასების გამოკითხვის მიზნით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სატენდერო კომისიის აპარატმა მონაწილეობის მიღებასთან

დაკავშირებით შესაბამისი წერილი და დოკუმენტაცია 4 (ოთხი) სხვადასხვა კომპანიას გაუგზავნა, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ფასები:

1. შპს „ბლექსი 2017“ (ს/კ 400209644) – 11792.00 (თერთმეტიათას შვიდასოთხმოცდათორმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;
2. შპს „ჯი ემ ბილდინგი“ (ს/კ 406161166) – 9854.00 (ცხრაათასრვაასორმოცდათოთხმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;
3. შპს „ვი დი ჯი გრუპი“ (ს/კ 204560607) – 9084.20 (ცხრაათასოთხმოცდაოთხი ლარი და 20 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით;
4. შპს „RIDEX GEORGIA“ (ს/კ 404987804) – 13811.00 (ცამეტიათას რვაასთერთმეტი)| ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შესაბამისად სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა შპს „ვი დი ჯი გრუპი“-ს მიერ მოწოდებული ფასით და ტენდერის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 7300.00 (შვიდიათასსამასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დავით ხვედელიძე -

სატენდერო კომისიის წევრები:

ია ძებისაური -

ნიკო გიგოლაშვილი -

ირაკლი რობაქიძე -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ირინე სადრაძე -

ზურაბი ხეცურიანი -